

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2011 წლის 22 ივნისის სხდომის
ოქმი №13

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 36 წევრიდან, ესწრებოდა 27. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკოძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭის ყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერი: წარმოგიდგენთ საკითხს „სტუ-ში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქციის” ცვლილებათა შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №450. აკადემიურმა საბჭომ იმსჯელა და დაადგინა, რომ აკადემიური პერსონალის, მოწვეული პროფესორის, უფროსი მასწავლებლის, მასწავლებლისა და მოწვეული სპეციალისტის ჯამური აკადემიური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 1100 საათს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს №13 სხდომაზე წარმოდგენილ იქნა საკითხი „სტუ-ში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქციის” ცვლილებათა შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის დადგენილება №450.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს №450 დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება, კერძოდ, აკადემიური პერსონალის, მოწვეული პროფესორის, უფროსი მასწავლებლის, მასწავლებლისა და მოწვეული სპეციალისტის ჯამური აკადემიური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 1100 საათს.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან არსებული „ეკონომიკისა და მენეჯმენტის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №449 – მომხსენებელი პროფ. გიორგი აბრამიშვილი.

პროფ. გიორგი აბრამიშვილი: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან არსებული „ეკონომიკისა და მენეჯმენტის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

პროფ. იგორ კვესელავა: რამდენადაც ვიცი, ასამდე ცენტრია შექმნილი, მათ უმრავლესობას აქვს კაბინეტები და ფართი. უნდა დავინტერესდეთ და შევისწავლოთ სამეცნიერო კომისიასთან ერთად, თუ რა შედეგს გვაძლევს ეს ცენტრები და რა სარგებელი მოაქვს მათ უნივერსიტეტისათვის.

სპიკერი: ამასთან დაკავშირებით მაქვს იდეა, რომ კომისიების თავმჯდომარეებთან ერთად შევიმუშაოთ გარკვეული კითხვარი, რითაც შესაძლებელი გახდება ამ ცენტრების შემოწმება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 22 ივნისის №13 სხდომაზე პროფ. გიორგი იაბრამიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან „ეკონომიკისა და მენეჯმენტის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №449.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა აკადემიური საბჭოს დადგენილება №449 სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან „ეკონომიკისა და მენეჯმენტის ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან არსებული „ფერადლითონური მასალების მეტალურგიის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №453 – მომხსენებელი პროფ. ზურაბ ოქროსცვარიძე.

პროფ. ზურაბ ოქროსცვარიძე: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან არსებული „ფერადლითონური მასალების მეტალურგიის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 22 ივნისის №13 სხდომაზე პროფ. ზურაბ ოქროსცვარიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან „ფერადლითონური მასალების მეტალურგიის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №453.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა აკადემიური საბჭოს დადგენილება №453 სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან „ფერადლითონური მასალების მეტალურგიის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-სთან არსებული „თანამედროვე ეკოლოგიური ტექნოლოგიებისა და მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ცენტრის“ შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №467 – მომხსენებელი პროფ. შალვა ბოსიკაშვილი.

პროფ. შალვა ბოსიკაშვილი: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-სთან არსებული „თანამედროვე ეკოლოგიური ტექნოლოგიებისა და მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ცენტრის“ შექმნის შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 22 ივნისის №13 სხდომაზე პროფ. შალვა ბოსიკაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან „თანამედროვე ეკოლოგიური ტექნოლოგიებისა და მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №467.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა აკადემიური საბჭოს დადგენილება №467 სტუ-სთან „თანამედროვე ეკოლოგიური ტექნოლოგიებისა და მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – სტუ-ს „სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის“ შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №466 – მომხსენებელი პროფ. ზურაბ გასიტაშვილი.

პროფ. ზურაბ გასიტაშვილი: მოგესხენებათ, რომ თითოეული ფაკულტეტზე, პროცენტული შეფარდებით, ლაბორატორიები მსგავსია, ამიტომ იმ რესურსებიდან გამომდინარე, რაც ჩვენ გაგვაჩნია, უნივერსიტეტის პოზიცია არის ასეთი: შეიქმნას ერთობლივი ცენტრალური ლაბორატორია, რომელიც მოემსახურება ყველა ფაკულტეტს და მასში ჩავდოთ ჩვენი თანხები, ხოლო ერთ-ერთი ასეთი გახლავთ სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ლაბორატორია.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 22 ივნისის №13 სხდომაზე პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს „სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №466.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა აკადემიური საბჭოს დადგენილება №466 სტუ-ს „სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა მისი დებულება.

საშტატო განრიგით გათვალისწინებულ მომუშავეთა შრომის ანაზღაურება განხორციელდეს სამშენებლო ფაკულტეტის 2011 წლის ბიუჯეტიდან. მისი გაზრდის აუცილებლობის შემთხვევაში დაისვას საკითხი განსახილველად წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – ქართული რეფერატული ჟურნალის ბეჭდური სახით გამოცემის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №459 – მომხსენებელი პროფ. ანზორ შავგულიძე.

პროფ. ანზორ შავგულიძე: ეს ჟურნალი გამოდიოდა „ტექნიფორმი“ 2000 წლიდან 2003 წლამდე. „ტექნიფორმი“ შედიოდა აკადემიის სისტემაში, მაგრამ როცა ეს სისტემა დაიშალა, ორგანიზაციებს შეუწყდათ დაფინანსება და, ბუნებრივია, შეწყდა ამ ჟურნალის გამოცემაც. ახლა „ტექნიფორმი“ შედის იმ ორგანიზაციათა შემადგენლობაში, რომლებიც ცოტა ხნის წინათ შემოუერთდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს. ამის შემდეგ დაისვა საკითხი, რომ ეს ჟურნალიც აღდგენილ იქნეს. ამ საკითხზე იმსჯელა აკადემიურმა საბჭომ და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება. არის ერთი საკითხი, რომელზეც მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება. ესაა ჟურნალის დაფინანსება. ვფიქრობთ, რომ გამოვიდეს წელიწადში 2 ნომერი და ერთი ნომრის დასაფინანსებლად საჭირო იქნება 1500 ლარი.

პროფ. დავით ჯაფარიძე: უფასოდ გამოქვეყნდება სტატიები?

პროფ. ანზორ შავგულიძე: რასაკვირველია, სტატიები გამოქვეყნდება უფასოდ.

პროფ. ნოდარ ქაჯაია: მაინტერესებს, რომელ ენებზე გამოვა ჟურნალი და ეყოლება თუ არა რედაქტორი?

პროფ. ანზორ შავგულიძე: ჟურნალი იქნება ორენოვანი, იგი გამოვა ქართულ და ინგლისურ ენებზე და რა თქმა უნდა, ეყოლება რედაქტორები. ჟურნალში წარმოდგენილი იქნება მეცნიერების ყველა დარგი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 22 ივნისის №13 სხდომაზე პროფ. ანზორ შავგულიძემ წარმოადგინა საკითხი ქართული რეფერატული ჟურნალის ბეჭდური სახით გამოცემის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №459.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა აკადემიური საბჭოს დადგენილება №459 ქართული რეფერატული ჟურნალის ბეჭდური სახით გამოცემის შესახებ, ამასთან აღინიშნა პოლითექტური ქართული რეფერატული ჟურნალის მნიშვნელობა ტექნიკისა და ტექნოლოგიების სფეროში არსებული მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების რეფერირების საქმეში, რომელთაც ადრე რეგულარულად გამოსცემდა ინსტიტუტი ტექნიფორმი. იმის გამო, რომ ეს ინსტიტუტი, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, სადღეისოდ სტუ-ს შემადგენლობაშია, მიზანშეწონილად ჩაითვალოს ტექნიფორმთან თანამშრომლობის საფუძველზე ქართული რეფერატული ჟურნალის აღდგენა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. აქედან გამომდინარე:

1. დაევალოს საგამომცემლო სახელ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ სამეურვეო საბჭოს, ტექნიფორმში მომზადებული მაკეტის შესაბამისად, უზრუნველყოს ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) „ქართული რეფერატული ჟურნალის“ ყოველწლიური გამოცემა (წელიწადში ორი ნომერი). აქედან, აღდგენილი ჟურნალის გაგრძელებული ნუმერაციის მიხედვით, მე-7 (19) ნომერი გამოვიდეს 2011 წელს, ხოლო რეგულარული გამოცემა (წელიწადში ორი ნომერი) დაიწყოს 2012 წლიდან;
2. ეთხოვოს სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს შეიტანოს ცვლილება სტუ-ს 2011 წლის ბიუჯეტში და საგამომცემლო სახელ „ტექნიკური უნივერსიტეტისათვის“ გამოყოფილი თანხა გაზარდოს 1500 (ათასხუთასი ლარით – ჟურნალის ერთი ნომრის ღირებულება), ხოლო 2012 წლიდან საგამომცემლო სახელ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ დაფინანსებაში ყოველწლიურად, სპეციალურად ქართული რეფერატული ჟურნალისათვის, გაითვალისწინოს თანხა 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით (ჟურნალის ორი ნომრის ღირებულება).

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – საგამომცემლო სახელ „ტექნიკურ უნივერსიტეტთან“ სასწავლო წიგნების სადისკუსიო კლუბის ჩამოყალიბების შესახებ – მომხსენებელი პროფ. ანზორ შავგულიძე.

პროფ. ანზორ შავგულიძე: ყველა საგამომცემლო სახლი, და მათ შორის ტექნიკური უნივერსიტეტი, ზრუნავს თავის ავტორიტეტზე. ამასთან დაკავშირებით ბოლო დროს განხორციელდა არაერთი ღონისძიება, მაგრამ სარედაქციო-საგამომცემლო საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ გამოცემიდან ერთი წლის თავზე მოეწყოს ყველა სახელმძღვანელოს საჯაროდ განხილვა, რასაც უხელმძღვანელებენ ფაკულტეტები. რაც შეეხება ჩემ მიერ წარმოდგენილ საკითხს, ესეც შინაარსობრივად კავშირშია ამ თემასთან და გულისხმობს მის გაჯანსაღებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია დიალოგი

ავტორებსა და სტუდენტებს შორის, ამიტომ გადავწყვიტეთ სადისკუსიო კლუბის ჩამოყალიბება, რომლის შემადგენლობაშიც იქნება რექტორატი, დეკანატები, სტუდენტები, ორგანიზაციები, რომლებიც დაკავშირებული არიან საგამომცემლო სახლთან. ამ დისკუსიის დროს წინასწარ იქნება შერჩეული სახელმძღვანელოები და დაინტერესებელი პირები მოისმენენ სტუდენტების აზრს, შეხედულებას. ეს კლუბი ითვლება სტრუქტურად და სტრუქტურას ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეექვსე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 22 ივნისის №13 სხდომაზე პროფ. ანზორ შავგულიძემ წარმოადგინა საკითხი საგამომცემლო სახლ „ტექნიკურ უნივერსიტეტთან“ სასწავლო წიგნების სადისკუსიო კლუბის ჩამოყალიბების შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა საკითხი საგამომცემლო სახლ „ტექნიკურ უნივერსიტეტთან“ სასწავლო წიგნების სადისკუსიო კლუბის ჩამოყალიბების შესახებ.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი – სტუ-ს სასწავლო პროცესის დისციპლინური კომისიის შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №460 – მომხსენებელი პროფ. იური ლომიძე.

პროფ. იური ლომიძე: მინდა მოგახსენოთ აღნიშნული კომისიის არსი. როგორც თქვენთვის ცნობილია, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებზე განხილული და დამტკიცებულია 2 ელექტრონული სისტემა. პირველი, სტუდენტის აკადემიური მოსწრების უწყისი, ხოლო მეორე – პროფესორ-მასწავლებლების ელექტრონული რეგისტრაციის სისტემა. აკადემიური საბჭოს წინა სხდომებზე იყო საუბარი, რომ შეიძლება ადგილი ქონდეს რაღაც ხარვეზს, მაგალითად, შეიძლება პროფესორ-მასწავლებელს გამორჩეს სტუდენტის შეფასების შეტანა ან ვერ დარეგისტრირდეს ლექციის დაწყებისას ან დამთავრებისას და ა.შ. საუბარია იმაზე, რომ უნდა გატარდეს ადმინისტრაციული ღონისძიებები. ბოლოს წამოიშვა ასეთი იდეა: ამ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება არ უნდა დაევალოს ერთ კონკრეტულ პირს, არამედ უნდა არსებობდეს კოლექტიური ორგანო, რომელიც გადაწყვეტს ამა თუ იმ საკითხს. აკადემიურ საბჭოს თქვენს წინაშე დასამტკიცებლად შემოაქვს

საკითხი: შეიქმნას სტუ-ს სასწავლო პროცესის დისციპლინური კომისია შემდეგი შემადგენლობით: პროფ. მამუკა სონდულაშვილი (თავმჯდომარე); წევრები: ჯემალ ბერიძე, დენიტა ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ბუტულაშვილი, ბორის გითოლენდია, მერაბ თევზაძე, გიორგი კულდონაშვილი, მამუკა მაცაბერიძე, მზია მილაშვილი, ლალი ლოღელიანი, დავით ჯაფარიძე, გურამ ჯოლია, ქეთი ჯინჭარაძე.

წარმომადგენლობითმა საბჭომ აღნიშნული ინფორმაცია ცნობად მიიღო.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მერვე საკითხი – სტუ-ს „ინფორმაციული ტექნოლოგიების ინკუბატორის“ შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №461 – მომსხენებელი პროფ. ბორის გითოლენდია.

პროფ. ბორის გითოლენდია: შეიქმნება „ინფორმაციული ტექნოლოგიების ინკუბატორი“, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება კომპიუტერული ინვენტარით და ამ ცენტრში ჩართული იქნებიან სტუდენტები, რომლებსაც ექნებათ გარკვეული იდეები და შეეძლებათ კომპიუტერული პროგრამების შედგენა. აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ აღნიშნული ცენტრი იქნება საქართველოში პირველი სოციალური ქსელი. ცენტრს ექნება სხვადასხვა დატვირთვები, შეეძლება საიტების კეთება, ლოგოების დამზადება და ა.შ. აქ იმუშავენ ჩვენი სტუდენტები.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მერვე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო მ ე ნ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 22 ივნისის №13 სხდომაზე პროფ. ბორის გითოლენდიამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს „ინფორმაციული ტექნოლოგიების ინკუბატორის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №461.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა აკადემიური საბჭოს დადგენილება №461 სტუ-ს „ინფორმაციული ტექნოლოგიების ინკუბატორის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეცხრე საკითხი – 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ – მომსხენებელი საგემოს-საფინანსო დეპარტამენტის უფროსი, ბ-ნი კონსტანტინე ქურციკიძე.

ბ-ნი კონსტანტინე ქურციკიძე: წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სტუ-ს 2011 წლის დამტკიცებულ

ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს, რომლებიც მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011 წლის 3 მაისის №11-1-20/5413 წერილისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 აპრილის №270 ბრძანების საფუძველზე და ითვალისწინებს „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სტიპენდიებისა და გრანტების მინიჭების პროგრამის“ პროგრამის „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“ ფარგლებში დაფინანსებას, რომელიც შეადგენს 152 250 ლარს (მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისის თვეებში). ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ თხოვნით, მოგვცეთ თანხმობა სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის 152 250 ლარით გაზრდის შესახებ. აქვე გვინდა წარმოგიდგინოთ დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი სხვა ცვლილებები, კერძოდ:

მეეზოვეებისა და ასენიზატორების ანაზღაურება გახდეს ადეკვატური დამლაგებლების ყოველთვიური ანაზღაურებისა და მიმდინარე წლის 1 ივლისიდან განისაზღვროს 315 ლარით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში II კვარტალის ინტერნეტის ხარჯებიდან 210 ლარი, ბუნებრივი აირის ხარჯებიდან 73 ლარი, დასუფთავების ხარჯებიდან 450 ლარი გადატანილ იქნეს ელექტროენერჯის ხარჯების მუხლში.

ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში წარმომადგენლობითი ხარჯების, კულტურულ სანახაობითი ღონისძიების ხარჯებიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს სუბსიდიების მუხლში.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ეს ბუნებრივი პროცესია, მაგრამ ერთი შენიშვნა მაინც უნდა გავაკეთო, რომ ყველა დეტალი განხილული იქნეს მოხსენებითი ბარათის საფუძველზე და ახსნა-განმარტებით დასაბუთებული.

ბ-ნი კონსტანტინე ქურციკიძე: ჩვენ გვაქვს ამის თაობაზე ბატონ ზურაბ წვერაიძის მოხსენებითი ბარათი და დავურთავთ აუცილებლად. შემდეგი ცვლილება გახლავთ, რომ ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში ფასიანი სწავლების გრაფაში სუბსიდიების მუხლიდან 40 600 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლში, ტექნიკური და შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ხარჯების პუნქტში.

სპიკერი: ბატონო კონსტანტინე, მაინტერესებს სახანძრო უსაფრთხოებაზე ვინ აგებს პასუხს?

ბ-ნი კონსტანტინე ქურციკიძე: სამეურნეო სამსახურია ამაზე პასუხისმგებელი. შემდეგი ცვლილება არის, რომ ადმინისტრაციის

ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლებიდან, ფასიანი სწავლების გრაფაში, სუბსიდიების მუხლიდან 47 000 ლარი გადატანილ იქნეს საქონელი და მომსახურების, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტში. ეს თანხა საჭიროა ასენიზატორების ხელფასის ასანაზღაურებლად, რომლებიც შეადგენენ შტატგარეშე მომსახურე პერსონალს.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ამ საკითხთან დაკავშირებით მაქვს შენიშვნა, საკითხი რომელიც ასეთი სახით იქნება წარმოდგენილი, აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული, როგორ გაიხარჯა ის თანხები, რომლებიც ჩვენ დავამტკიცეთ. მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე ბუღალტერიამ და ადმინისტრაციამ უნდა წარმოგვიდგინონ სათანადო დასაბუთება იმისა, როგორ გაიხარჯა ის საბიუჯეტო თანხები, რომლებიც ჩვენ ამ ნაწილში გამოვიყავით.

სტუდენტი ირაკლი გაბისონია: ვეთანხმები ბატონ დავითს, მისი პოზიცია სამართლებრივად არის სწორი.

სპიკერი: ეს 47 000 ლარი ვის უნდა ჩამოვაჭრათ?

ბ-ნი კონსტანტინე ქურციკიძე: როდესაც ჩვენ ბიუჯეტს ვამტკიცებდით და გვქონდა შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლის განხილვა, გვახსოვს, რომ ეს მუხლი ითვალისწინებდა იმ პერსონალის ანაზღაურებას, რომელიც შტატში არა გვყავს და ითვლებიან შტატგარეშე მომუშავეებად. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ იმათი ხელფასი. ბიუჯეტის დამტკიცებისას ვერ გავითვალისწინეთ, რომ ასენიზატორებს მივიღებდით, მაგრამ თანხები გათვლილია ისე, რომ ეს ფული შტატგარეშე მომუშავეებისათვის გამოვიტანოთ. გეტყვით, რომ ჩვენ დამტკიცებულ ბიუჯეტში გვაქვს სუბსიდიების მუხლი, რომელიც ითვალისწინებს საჭიროების შემთხვევაში თანხის სხვადასხვა მუხლებში განაწილებას. აქ ჩვენ სარეზერვოდ დატოვებული გვქონდა ფული.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ჯერ აგვისსენით და გაგვიმარტეთ, 4 846 614 ლარი, რომელიც ჩვენ დავამტკიცეთ, როგორ და სადაა გახარჯული და შემდეგ ვისაუბროთ სარეზერვო თანხებზე და საერთოდ, შევეჩვიოთ ანალიზით მუშაობას.

სპიკერი: ეს საკითხი დასამტკიცებლად გადავდოთ შემდეგ სხდომაზე. ასევე დავავალოთ ბუღალტერიას და შესაბამის სამსახურს, რომ ახსნა-განმარტება წარმოადგინონ ამასთან მიმართებაში.

ბ-ნი კონსტანტინე ქურციკიძე: მომდევნო ცვლილება ეხება ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების გრაფაში, კომუნალური მომსახურების ხარჯებიდან (ელექტროენერჯის ხარჯებიდან) 180 ლარის გადატანას რეკლამის ხარჯების მუხლში. ნაერთ ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გრაფაში,

სუბსიდიების მუხლიდან 700 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის, შენობის პასპორტიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების პუნქტში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეცხრე საკითხი ერთი საბიუჯეტო ცვლილების გამოკლებით, რომელიც ეხება ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლებიდან, ფასიანი სწავლების გრაფაში, სუბსიდიების მუხლიდან 47 000 ლარის გადატანას საქონელი და მომსახურების, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტში. წარმოდგენილი საკითხი აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 22 ივნისის №13 სხდომაზე ბ-ნმა კონსტანტინე ქურციკიძემ წარმოადგინა საკითხი 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ, სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტი გაიზარდოს 152 250 ლარით, რაც გამოწვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011 წლის 3 მაისის №11-1-20/5413 წერილისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 აპრილის №270 ბრძანების საფუძველზე და ითვალისწინებს „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სტიპენდიებისა და გრანტების მინიჭების პროგრამის“, პროგრამის „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებს“ ფარგლებში დაფინანსებას, რომელიც შეადგენს – 152 250 ლარს (მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისის თვეებში).

მეზოვეებისა და ასენიზატორების ანაზღაურება გახდეს ადეკვატური დამლაგებლების ანაზღაურებისა და განისაზღვროს 315 ლარით მიმდინარე წლის 1 ივლისიდან.

ასევე:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში მე-II კვარტლის ინტერნეტის ხარჯებიდან 210 ლარი, ბუნებრივი აირის ხარჯებიდან 73 ლარი, დასუფთავების ხარჯებიდან 450 ლარი გადატანილ იქნეს ელექტროენერჯიის ხარჯების მუხლში;

2. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში წარმომადგენლობითი ხარჯების, კულტურულ-სანახაობითი ღონისძიების ხარჯებიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს სუბსიდიების მუხლში;

3. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში ფასიანი სწავლების გრაფაში სუბსიდიების მუხლიდან 40 600 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლში, ტექნიკური და შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ხარჯების პუნქტში;

4. ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების გრაფაში, კომუნალური მომსახურების ხარჯებიდან (ელექტროენერჯის ხარჯებიდან) 180 ლარი გადატანილ იქნეს რეკლამის ხარჯების მუხლში;

5. ნაერთ ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გრაფაში, სუბსიდიების მუხლიდან 700 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის შენობის პასპორტიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების პუნქტში.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი